ხედვა

უნივერსიტეტების მესამე მისიის გაძლიერებისა და ხელშეწყობის შესახებ

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

ბოლო ათწლეულების განმავლობაში თანამედროვე სამყაროში მიმდინარე ფუნდამენტურმა ცვლილებებმა, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია უნივერსიტეტზე, როგორც ინსტიტუციაზე. განათლების მზარდმა გლობალიზაციამ და ინტერნაციონალიზაციამ, ეკონომიკურმა განვითარებამ, **ბიძგი მისცა უნივერსიტეტს გადაეხედა საკუთარი როლისთვის,** რომელიც აქამდე ძირითადად ფოკუსირებული იყო სწავლებასა და კვლევებზე **და ეტვირთა მესამე მისია,** რომელიც საზოგადოების ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში მონაწილეობას გულისხმობს. ფართო გაგებით უნივერსიტეტების **მესამე მისია შესაძლოა გაგებულ იქნეს** როგორც უნივერსიტეტის უნივერსიტეტის მხრიდან უანგარო ზრუნვა საზოგადოების კეთილდღეობისთვის კონკრეტული აქტივობების შესრულებისა და კომუნიკაციის გზით **და** მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და ფართო საზოგადოების თანამშრომლობას ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე, რაც დაკავშირებულია სოციალურ პასუხისმგებლობასა და ჰორიზონტალურ ანგარიშვალდებულებასთან.

21-ე საუკუნეში მიმდინარე გლობალური ცვლილებებისა და სწრაფად განვითარებადი სამყაროს ფონზე გამოიკვეთა საჭიროება **უნივერსიტეტს** ფართო გაგებით გაეცნობიერებინა ახალი პასუხისმგებლობები და სწორედ ამან დააყენა დღის წესრიგში „უნივერსიტეტების დიდი ქარტიის“ ახალი დეკლარაციის მიღება 2020 წელს. დეკლარაციაზე ხელისმომწერმა უნივერსიტეტებმა დაადასტურეს, რომ მათ აქვთ პასუხისმგებლობა ჩართულნი იყვნენ და უპასუხონ მსოფლიოს და ადგილობრივი საზოგადოების გამოწვევებს და ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას. შესაბამისად, უნივერსიტეტებს ეკისრებათ სამოქალაქო და სოციალური პასუხისმგებლობა. დაკავშირებულნი არიან რა გლობალურ განვითარებასთან, მათ აქვთ წამყვანი როლი ადგილობრივი საზოგადოებისა და ეკოსისტემის განვითარებაში.

2020 წლის რომის მინისტერიალის კომუნიკე ცალსახად მიუთითებს უნივერსიტეტების მესამე მისიაზე. კომუნიკეში ნათქვამია: „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ იმის პოტენციალი, რომ უდიდესი ცვლილებები განახორციელონ - გააუმჯობესონ სტუდენტებისა და საზოგადოების ცოდნა, უნარები და კომპეტენცია, წვლილი შეიტანონ მდგრადობის, გარემოს დაცვისა და სხვა არსებითად მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევაში. მათ უნდა მოამზადონ სტუდენტები - აქციონ აქტიურ, კრიტიკულად განწყობილ და პასუხისმგებელ მოქალაქეებად და შესთავაზონ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობები და ამით მხარი დაუჭირონ თითოეულს სოციალური როლის შესრულებაში. უმაღლესი განათლება იქნება მთავარი მოქმედი პირი 2030 წლისთვის გაერთიანებული ერების მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDG) თანხვედრის მიღწევაში. ჩვენ ვალდებულნი ვართ მხარი დავუჭიროთ ჩვენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საგანმანათლებლო, კვლევითი და ინოვაციური შესაძლებლობების გამოყენებაში, რათა განახორციელონ ფუნდამენტური გლობალური ამოცანები, განავითარონ რესურსები და იქცნენ იმის გარანტად, რომ ჩვენს უმაღლეს საგანმანათლებლო სისტემებს საკუთარი წვლილი შეაქვთ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.“[1]

<u>საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2022-2030 წლების ერთიან ეროვნულ სტრატეგიაში,</u> განათლების, მეცნიერების, კვლევის, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სექტორებში მმართველობის, ანგარიშვალდებულებისა და დაფინანსების მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე საუბრისას ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ „უმაღლესი განათლების, კვლევისა და ინოვაციის სისტემისთვის ახალი გამოწვევაა „მესამე მისიის“ კონცეფციის გააზრება და დანერგვა საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის კულტურაში. შეზღუდულია მშობლებთან, შრომის ბაზართან, ინდუსტრიასა და სამოქალაქო საზოგადოებასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობა, რაც წაახალისებდა კვლევისა და ინოვაციის

[1] რომის მინისტერიალის კომუნიკე - 19 ნოემბერი, 2020.

კლასტერების შექმნას, უნივერსიტეტ-ინდუსტრიის თანამშრომლობის განვითარებასა და უნივერსიტეტების ,,მესამე მისიის“ ამოქმედებას“[2]

ამ მნიშვნელოვანი გამოწვევის საპასუხოდ სახელმწიფომ ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად განსაზღვრა საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ძირითად დაინტერესებულ მხარეებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება. სტრატეგიაში ხაზგასმულია, რომ „მთავრობა გაატარებს შესაბამის ზომებს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ,,მესამე მისიის“ სტრუქტურირებულად განხორციელების მხარდასაჭერად, რაც გულისხმობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, განსაკუთრებით კი რეგიონის უნივერსიტეტების როლის ზრდას საზოგადოების სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებაში, განსხვავებული რეგიონების საჭიროებათა დაკმაყოფილებასა და შესაძლებლობათა რეალიზებაში.“[3]

უკანასკნელ წლებში საქართველოში მოქმედმა უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მესამე მისიის გაძლიერების მიმართულებით. ამ მხრივ გამორჩეული მნიშვნელობის მატარებელი იყო ერაზმუს+“-ის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტი „მესამე მისიის ხარისხისა და შესაბამისობის განვითარება ქართულ უნივერსიტეტებში (SQUARE)“, რომლის ფარგლებშიც უნივერსიტეტებს ჰქონდათ შესაძლებლობა გაეზიარებინათ ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილება მესამე მისიის კონტექსტში და განესაზღვრათ სტრატეგია და ის აქტივობები, რომლებიც ამ მიმართულებით შეუძლიათ დანერგონ და განახორციელონ. პროექტს უმნიშვნელოვანესი შედეგები ჰქონდა აგრეთვე უსდ-ების პერსონალის გაძლიერების მიზნით.

გამორჩეული მნიშვნელობის მატარებელი იყო ასევე „ერაზმუს+“-ის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პროექტი „უნივერსიტეტების როლი რეგიონის განვითარებაში (RURD)“, რომლის ერთ-ერთ ძირითად მიზანს რეგიონების განვითარებაში საქართველოს რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო

[2] გვ. 32
[3] გვ. 40

დაწესებულებების როლის ზრდა წარმოადგენდა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდა რეგიონული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მისიისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის მოდერნიზება, ასევე უნივერსიტეტებსა და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება თითოეული რეგიონის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2023 წელს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტის - საქართველო I2Q“ ფარგლებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების კონკურენტუნარიანი ინიციატივების საგრანტო დაფინანსებისათვის კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF) შეიქმნა. ფონდის მიზანია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობა აკადემიური და სასწავლო გარემოს გაუმჯობესებაზე ორიენტირებული ინოვაციური პროექტების განხორციელებაში. CIF-ის ფარგლებში პირველი საგრანტო კონკურსი ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს შრომის ბაზრის საჭიროებებზე (მათ შორის - საქართველოს რეგიონების სპეციფიურ საჭიროებებზე) მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა/განვითარება (სმარტსპეციალიზაცია, მესამე მისია და სხვ.) წარმოადგენდა. ეს იყო ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, რითიც სახელმწიფომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მესამე მისიის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების განხორციელების მიზნით დაფინანსება გამოყო[4].

სახელმწიფოს მხრიდან დაგეგმილია კონკრეტული ნაბიჯები, რათა მომავალში უნივერსიტეტის მესამე მისია ამ ინსტიტუციის როლის განუყოფელი ნაწილი გახდეს. ამ მიზნით:

- **განხორციელდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.** დღეისათვის საქართველოს კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება განიმარტება როგორც „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი სასწავლო ან სასწავლო

[4] https://grants.gov.ge/ka/%E1%83%92%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98?call=259

სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება, რომლის ძირითადი ფუნქციაა უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობისა და სამეცნიერო კვლევების ან უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება, აგრეთვე შემოქმედებითი მუშაობის წარმართვა."[5] კანონი არც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ძირითადი საქმიანობისა და უფლებამოსილების ნაწილში არ ახსენებს უნივერსიტეტების მესამე მისიას. მომზადდება შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები ფართო საზოგადოების ჩართულობით.

- **გაიზრდება უნივერსიტეტების ანგარიშვალდებულება მესამე მისიის ნაწილში.** უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებში ინტეგრირებული იქნება უნივერსიტეტების მესამე მისიის საკითხი, როგორც დაწესებულების ინსტიტუციური შეფასების მექანიზმი. მესამე მისიის აქტივობების გაძლიერებას ავტორიზაციის სტანდარტებში პირველ ეტაპზე სარეკომენდაციო და განვითარებაზე ორიენტირებული ხასიათი ექნება. რამდენადაც ავტორიზაციის სტანდარტების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს უსდ-ების ავტონომიურობა წარმოადგენს, სწორედ უნივერსიტეტის პასუხისმგებლობა იქნება მესამე მისიის აქტივობების უნივერსიტეტის მისიასა და ხედვასთან შესაბამისობაში დაგეგმვა და განხორციელება. ცვლილებების კვალდაკვალ ჩატარდება შესაბამისი ტრენინგები პროცესის მონაწილე ყველა სუბიექტისთვის.
- **უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების დაფინანსება** უნდა მოიცავდეს მესამე მისიის მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს. სამინისტრო მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მუშაობს უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელზე, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს შედეგზე ორიენტირებული დაფინანსება წარმოადგენს. შედეგზე ორიენტირებული დაფინანსების მოდელი აკადემიურ და სამეცნიერო მიღწევებთან ერთად გაითვალისწინებს

[5] „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონი, N688, 21.12.2004, მუხლი 2, პუნქტი „ჰ[33]".

უნივერსიტეტების მესამე მისიის მიმართულებით განხორციელებულ აქტივობებს.

თავის მხრივ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყოს საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსების გამოყოფა, რაშიც მათ მხარს დაუჭერს სახელმწიფო. მნიშნელოვანია უნივერსიტეტებმა სისტემატურად განახორციელონ მათ მიერ განსაზღვრული მესამე მისიის აქტივობების შეფასება.

შესაბამისად:

- უპირატესი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს უნივერსიტეტის სივრცეში დაგროვებული აკადემიური ცოდნისა და პრაქტიკის, **დემოკრატიული მისიის** კონტექსტში, **ფართო საზოგადოებასთან,** მათ შორის, სკოლის **მოსწავლეებთან** და **ახალგაზრდებთან** გაზიარების პროცესს. უნივერსიტეტებმა, **სოციალური პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის** მისიის ფარგლებში, უნდა შეიმუშაონ ისეთ პოლიტიკები და პრაქტიკები, რომლებიც გააძლიერებს სკოლებს, მოსწავლეებს (პოტენციურ სტუდენტებს), ახალგაზრდებს სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის ისეთ საკითხებზე როგორიცაა **დემოკრატია, ადამიანის უფლებები, მოქალაქეობა.** განათლების **სამოქალაქო** და **დემოკრატიული მისიის** აღსრულებაში უნივერსიტეტების როლი დღითიდღე უფრო ნათელი ხდება. უნივერსიტეტი უნდა ზრუნავდეს, რომ საზოგადოება იყოს უფრო დემოკრატიული, იცოდეს საკუთარი უფლებები და პასუხისმგებლობები საზოგადოების, სახელმწიფოსა და ბუნებასთან მიმართებით.
- უნივერსიტეტებმა მრავალფეროვანი **სასერტიფიკატო, უწყვეტი განათლების კურსებისა და მიკროკრედიტების** შეთავაზების გზით უნდა იზრუნონ **მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე.**
- უნივერსიტეტები უნდა უზრუნველყოფდნენ ისეთ სერვისებს, რომელიც მიმართულია იქნება **სოციალური** და **ციფრული უთანასწორობის** აღმოსაფხვრელად როგორც **ახლანდელ,** ისე **პოტენციურ სტუდენტებში.**
- **სოციალური განზომილების მიმართულებით** მნიშვნელოვანია არა მხოლოდ **სტუდენტების,** არამედ **პოტენციური სტუდენტების** მხარდაჭერა მათი **უმაღლეს**

განათლებაში ტრანზიციის მიზნით. ამ მხრივ, უნივერსიტეტებს გამორჩეული როლი აქვთ, მათ ევალებათ სკოლასთან მუდმივი და გრძელვადიანი პარტნიორობა, ასევე თანამშრომლობა ახალგაზრდობასთან.

- უნივერსიტეტებმა აქტიური **საექსპერტო მონაწილეობა** უნდა მიიღონ **საკანონმდებლო ბაზის შემუშავებაში.**
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების პროფესორ-მასწავლებელთა და მეცნიერ-მკვლევართა ჩართულობა და წვლილი მესამე მისიის მიმართულებით აღიარებული უნდა იყოს. უნივერსიტეტში დაკავებული პოზიციის შესაბამისად, პერსონალის შეფასების კრიტერიუმებში ასახული უნდა იყოს მიღწევები სწავლების, კვლევისა და ინოვაციის მიმართულებით, ასევე უნივერსიტეტის „მესამე მისიის“ პრაქტიკაში დანერგვა, წარმატებები მართვასა და ადმინისტრირებასთან მიმართებით.[6]
- **ცოდნისა და ტექნოლოგიის ტრანსფერის გზით** უნივერსიტეტებმა ფოკუსირება უნდა მოახდინონ **სამეცნიერო პროდუქტის კომერციალიზაციაზე, პატენტების, სტარტ-აპების განვითარებაზე.** როგორც ინოვაციური მეთოდების მატარებლებმა, უნივერსიტეტებმა უნდა შეძლონ გავლენა მოახდინონ მოქმედი კომპანიების ზრდის ტემპზე და ხელი შეუწყონ ახალი **ინოვაციური სამეწარმეო რეალობის ჩამოყალიბებას.** უნივერსიტეტების მნიშვნელოვანი როლია სხვადასხვა სექტორში უნარების დეფიციტის აღმოფხვრა ინოვაციური საშუალებების მიწოდებით, რაც ითვალისწინებს უახლეს ტექნოლოგიურ განვითარებას, ადგილობრივი კომპანიებისთვის სამუშაო ძალის ოპტიმიზაციას და, შესაბამისად, მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდას.
- მნიშვნელოვანია უსდ-ებმა გაითავისონ რეგიონის საჭიროებები და **რეგიონულ განვითარებაზე პასუხისმგებლობა.**
- უნივერსიტეტების განსაკუთრებული როლია განათლების სისტემისა და მისი მზაობის გაძლიერება საგანგებო სიტუაციებისა და კრიზისის დროს, რითიც

[6] სტრატეგია, გვ. 38.

ხელს შეუწყობს **საზოგადოების მდგრადობისა და მშვიდობის შენარჩუნებას ქვეყანაში და რეგიონში.**

- უნივერსიტეტებს შეუძლიათ გადამწყვეტი როლი შეასრულონ **გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების საქმეში** გენდერული მეინსტრიმინგის მიდგომების გამოყენებით.
- უნივერსიტეტები აქტიურად უნდა იყვნენ ჩართული **კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში.**
- უნივერსიტეტების გამორჩეული როლი უნდა იყოს **მეცნიერების კომუნიკაცია საზოგადოებასთან**, რაც თავის თავში მეცნიერების პოპულარიზაციასაც მოიცავს.

როგორც სახელმწიფოს, ისე უნივერსიტეტების მიერ კომპლექსურად და თანმიმდევრულად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უნივერსიტეტების მესამე მისიის აქტივობები არ უნდა განიხილებოდეს როგორც მეორეხარისხოვანი, არამედ როგორც ერთ-ერთი ფუნდამენტური მიზანი, რომელიც საბოლოოდ ხელს შეუწყობს კულტურულ ევოლუციას.

მომავლის უნივერსიტეტი არის ინსტიტუცია, რომელსაც აქვს შესაძლებლობა განათლებისა და კვლევის სინთეზის შედეგად შეძლოს **ცოდნისა და ტექნოლოგიების ტრანსფერი,** შექმნას **მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობები** და იყოს **სოციალური პასუხისმგებლობის** მატარებელი, რითიც შეძლებს უპასუხოს თანამედროვე გლობალურ გამოწვევებს.